პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

30 აგვისტო
ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 132 (1768)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

ჩოგბურთი (ჭაბუკები)—I ადგილი.
ტანვარჯიში (გოგონები) — II ადგილი.
ტანვარჯიში (ჭაბუკები) — II ადგილი.
ნიჩბოსნობა (ჭაბუკები) — II ადგილი.
კალათბურთი (გოგონები) — III ადგილი.
ველორბოლა (ჭაბუკები) — III ადგილი.
ნიჩბოსნობა (გოგონები) — III ადგილი.
ფრენბურთი (ჭაბუკები) — III ადგილი.
ჭადრაკი (გოგონები)—III ადგილი.
მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები) — V ადგილი.
ჩოგბურთი (გოგონები) — V ადგილი.

საქართველოს ნაკრები გუნდების მიერ მოსწავლეთა VII სპარტაკიადაზე დაკავებული ადგილები

●

ველორბოლა (გოგონები) — V ადგილი.
წყალბურთი — V ადგილი.
ფრენბურთი (გოგონები) — V ადგილი.
მძლეოსნობა (ჭაბუკები) — VI ადგილი.
ცურვა (გოგონები) — VI ადგილი.
მაგიდის ჩოგბურთი (ჭაბუკები) — VI ადგილი.
წყალში ხტომა (ჭაბუკები) — VI ადგილი.
კალათბურთი (ჭაბუკები) — VII ადგილი.
წყალში ხტომა (გოგონები) — VII ადგილი.
ჭადრაკი (ჭაბუკები) — VII ადგილი.
სროლა — VIII ადგილი.
მძლეოსნობა (გოგონები) — X ადგილი.
ცურვა (ჭაბუკები) — X ადგილი.
ფეხბურთი — XVII ადგილი.

* * *

მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებს კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ.

სურათებზე: მარცხნიდან — 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული მ. პაპიაშვილი, ბირთვის კვრაში პირველი ადგილის მფლობელი მ. ოყროშიძე (შუაში) და თ. ტყეშელაშვილი, რომელმაც უროს ტყორცნაში მე-4 ადგილი დაიკავა.

ფოტო ფ. რაჯაბლისა და პ. კებაბჩიანისა.

უნივერსიადა გრძელდება

სოფიის სპორტულ ბაზებზე გრძელდება უნივერსიადა. წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები ცურვაში. 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ვ. პოზნიაკმა აჩვენა სარეკორდო დრო — 1.13,8. ვერცხლის მედალი მოიპოვა ე. ანტინოვამ. საბჭოთა მოცურავეების გამარჯვებით აღინიშნა აგრეთვე კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ ქალთა შორის. ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით მოიგო იაპონიის გუნდმა.

დამთავრდა ტანმოვარჯიშე ქალთა ტურნირი. პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. პერვუშინამ. მეორე ადგილზე გამოვიდა თ. ლიუხინა.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის წყალბურთელთა გუნდების შეჯიბრება. შეხვედრის შედეგია 2:2.

პირველად საბჭოთა კავშირში

ამას წინათ ლენინგრადში გაიმართა ავტომობილისტთა საერთაშორისო რბოლა, რომელიც პირველად მოეწყო ჩვენს ქვეყანაში. შეჯიბრებაში, რომელსაც „ნევის რკალი" ეწოდა, მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ფინეთის სპორტსმენები.

„ნევის რკალის" პრიზი მოიპოვა ფინელმა კ. ლინკოლნმა.

კალათბურთის საკავშირო ფედერაციაში

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის პირველობის პირველი წრის შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს კალათბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა ანგარიშით 47:46 არმიელთა სასარგებლოდ. „დინამომ" ეს მატჩი გააპროტესტა. კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ განიხილა თბილისელთა პროტესტი და არ დააკმაყოფილა იგი.

200 მეტრი—10,8 წამში

...ციურიხის ველოტრეკზე გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ველორბოლაში მოყვარულთა შორის. ტრადიციულად სტარტზე პირველად აიღეს სპრინტერებმა. მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს ველოსიპედისტებთან ერთად იბრძოდნენ საბჭოთა სპრინტერები ი. ბოდნიეკსი, ბ. ვასილიევი და ვ. ხიტროვი.

პირველ სერიაში ვასილიევის წინააღმდეგი იყო არგენტინელი ...სანტო. საბჭოთა ველოსიპედისტი ...ზედ ფინიშთან დაუშვა შეცდომა და წააგო რბოლა. დამარცხდა ...განიცადა ხიტროვმაც. ახალგაზრდა ...რიგელი სპრინტერის ი. ბოდნიეკსის მეტოქეები თავდაპირველად იყვნენ ბელგიელი ფ. რას...ნი და ავსტრიელი ხ. ობერსტი. ბოდნიეკსმა მოიგო სერია. მეოთხედფინალში მან დაამარცხა ინგლისელი დ. ჰენდლი. შემდგომში ბოდნიეკსს მოუხდა სამი იტალიელი ველოსიპედისტის წინააღმდეგ ...ლა. მან ერთი სერია მოიგო, ...ლევნოში კი დამარცხდა და საბოლოო ჯამში მეოთხე ადგილი და... ეს ახალგაზრდა სპრინტერის ...წარმატებაა. მსოფლიო ჩემპიონი სპრინტში გახდა იტალიელი ...ს. ბიანკეტო.

...მოყვარულთა ჩემპიონატის პარალელურად აქვე ტარდება პროფესიონალთა პირველობა. მეტად საინტერესო და მძაფრი ბრძოლით აღინიშნა ბრძოლა ოქროს მედლისათვის სპრინტში იტალიელ ანტონიო მასპესსა და ფრანგ მიშელ რუსოს შორის. იტალიელი ერთ დროს მოყვარულთა შორის გამოდიოდა. მან ჰელსინკის ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილი დაიკავა ტანდემებით რბოლაში. რუსომ კი მოიგო სპრინტი მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე. დღეს ეს ორი ველოსიპედისტი წამყვანი ფიგურაა პროფესიონალურ სპრინტში.

სტარტიდან ვერც ერთმა ველოსიპედისტმა ვერ გაბედა დაწინაურება. ისინი გაუნძრევლად იდგნენ 28 წუთის განმავლობაში. ნერვებმა პირველად რუსოს უღალატა, მან წაიყვანა რბოლა, მასპესი კი მას „თვალში ჩაუჯდა", უკანასკნელ 200 მეტრზე იტალიელმა ფანტასტიური სისწრაფე განავითარა — 10,8 წამი და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. რუსო მეორე ადგილზე დარჩა, ხოლო მასპესმა მეხუთედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პროფესიონალთა შორის.





თბილისის „დინამოსა" და კაუნასის „ჟალგირისის" შეხვედრაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ ქულას, ყოველ ბურთს. სწორედ ამიტომ იბრძვიან ორივე გუნდის წარმომადგენლები ასეთი სიმწვავით ბურთისათვის (სურათი მარცხნივ). „დინამოს" კალათბურთელი ლ. ინწკირველი ცდილობს მოწინააღმდეგის ფარჩვეშ გასვლას. მას გზას ულობავს ლიტველი გ. გედრაიტისი (სურათი მარჯვნივ).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ამას წინათ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა არმაზის ხეობაში. სურათებზე: მაუდ-კამვოლის კომბინატის ტურისტებ[ი] ხძლევენ დაბრკოლებებს.

ფოტო დ. იაკობაშვილ[ის]

გორეულ კოლექტივებში

წერილის შინაარსი ყურად იღეთ, რკინიგზელებო!

მიმდინარეობდა გორის საქალაქო სპარტაკიადა, მაყურებელი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული ჭიდაობისა და ფეხბურთისადმი. ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვისხედით. იგი ხანდაზმულობის მიუხედავად ქართული ჭიდაობისა და ფეხბურთის დიდი მოტრფიალეა, არც ერთი ღონისძიება არ გამოუტოვებია და აი ახლა, როცა მსაჯთა კოლეგიამ ბამბეულის კომბინატის მოჭიდავეთა გუნდური გამარჯვება გამოაცხადა, გულდაწყვეტილმა თქვა:

— ჩვენთანაც ხომ არიან კარგი ახალგაზრდები, განა რკინიგზელებს არ უნდა გვყავდეს ფეხბურთელთა ან მოჭიდავეთა კარგი კოლექტივი?

სპორტის ეს გულშემატკივარი შპალსაჟღენთი ქარხნის ყოფილი დირექტორი კ. შენგელაია იყო. მას ახსოვს გორელ რკინიგზელთა კარგი ტრადიცია. მაგრამ ახლა... გორის რკინიგზის სადგურისა და რკინიგზის ადგილობრივ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ერთხელაც არ უზრუნიათ ჩაშლილი ფიზკულტურული მუშაობის გამოსწორებისათვის.

ზოგიერთ მათგანს ხელზე დაუხვევია უსაფუძვლო ვერსია, თითქოს გორის რკინიგზის საწარმო-დაწესებულებებში, როგორიცაა: შპალსაჟღენთი ქარხანა, სადგური, სალიანდაგო დისტანცია, შენობა-ნაგებობათა დისტანცია, ელექტროფიკაცია, ვაგონების გამსინჯველთა პუნქტი, კავშირგაბმულობის განყოფილება, საავარიო სადგური, სატვირთო სადგური, მუშათა კლუბი და სხვ., სადაც მრავალი მუშა-მოსამსახურეა, ახალგაზრდები არ ყავდეთ საკმაო რაოდენობით. ხომ შეიძლებოდა ზემოჩამოთვლილ დაწესებულებათა გაერთიანება ერთ მტკიცე კოლექტივად? მაშინ კოლექტივის ძალაც გამოჩნდებოდა და სპორტის მოყვარული ახალგაზრდებიც. განა ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკების ბრალი არაა ის, რომ 1958 წელს მათი უყურადღებობით დაიშალა „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც მანამდე წარმატებით გამოდიოდა საქალაქო პირველობაზე?

ყოფილი ფეხბურთელი ნ. ბალიაშვილი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ფეხბურთელთა მაშინდელი ფორმა სარდაფში უყრიათ. ყოფილი ფრენბურთელი ზ. გუროვი კი სამართლიანად სდებს ბრალს ადმინისტრაციასა და „ლოკომოტივის" საბჭოს თავმჯდომარეს შ. დათაშვილს იმაში, რომ ისინი ვერ აფასებენ ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობას.

„ლოკომოტივის" საბჭოს თავმჯდომარე შ. დათაშვილი მაინც ყველაზე მეტადაა გასაკიცხი. იგი მხოლოდ საწევრო შესატანების აკრეფაში ხედავს თავის მოვალეობას და ერთხელაც არ მოუთხოვია ადმინისტრაციის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან დახმარება ჩაშლილი ფიზკულტურული მუშაობის გამოსწორებისათვის.

რკინიგზელის საკავშირო დღის წინ გორის რკინიგზის მესვეურებმა მიიღეს რკინიგზის ტრანსპორტის პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს სპეციალური წერილი, რათა დაესახათ ქმედითი ღონისძიებანი ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, მაგრამ სპორტის გორელმა „პატივისმცემლებმა" ეს წერილიც უჯრაში ჩაკეტეს.

ი. თევდორაშვილი,
საკუთარი კორესპონდენტი.

საინტერესო ნომერი

საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმმა ახლახან გამოსცა თავისი მორიგი ბიულეტენი № 2 (15).

აღნიშნულ ბიულეტენში აღძრულია მეტად საინტერესო და საჭირბოროტო საკითხი — გაწვრთნილი ფრინველებით ნადირობის საკითხი. იგი მნიშვნელოვანია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ წარმოადგენს ნადირობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო წარმტაც ფორმას, სადაც წინა პლანზე წამოწეულია სპორტული და აქტიური დასვენების მხარე და არა ფრინველისა და ცხოველის სპეციალური ხოცვა ხორცის მოპოვებისათვის. გ. დემენტიევის წერილი „გაწვრთნილი ფრინველებით ნადირობა" გადმობეჭდილია რუსეთის სამონადირო ჟურნალიდან და მოგვითხრობს ევროპის ქვეყნებში ასეთი ნადირობის შესახებ. წერილს თან ერთვის რედკოლეგიის შენიშვნა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცელებული ფრინველით ნადირობა, მაგრამ ახლა იგი რატომღაც მივიწყებულია.

ბიულეტენში მოთავსებულია სხვა საინტერესო წერილებიც: გ. კაპანაძის „ხოხობი გამრავლდა", ლ. გუნიავას „ფრინველთა დარგოლვის საკითხისათვის", რ. ავალიანის „ნადირობა ძველ საქართველოში" და სხვ.

განყოფილებაში „სანადირო ცხოველები" ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ჯანაშვილი მოგვითხრობს კურდღლის შესახებ. წარმოდგენილია აგრეთვე განყოფილებები: „სანადირო მეძაღლეობა", „მონადირის ბიბლიოთეკა", „მოვსპოთ ბრაკონიერობა", „საინტერესო შემთხვევები ნადირობის დროს". განყოფილებაში — სასროლო-სასტენდო სპორტი" დაბეჭდილია გ. ლევანიძის წერილი—„შესტენდურეები ცეცხლის ხაზზე".

ფიზკულტურა ქალაქებსა და რაიონებში

ქობულეთი

ქობულეთში ორ დღეს მიმდინარეობდა ფრენბურთელთა შეჯიბრება „კოლმეურნის" აჭარის 1961 წლის პირველობაზე.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის პირველი ადგილები დაიკავეს და „კოლმეურნის" ჩემპიონები გახდნენ ქობულეთის რაიონის გუნდები.

მეორე ადგილებზე გამოვიდნენ ბათუმის რაიონის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

• • •

ქალაქის სტადიონის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" აჭარის პირველობის გათამაშება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობებში.

თავისუფალ ჭიდაობაში გაიმარჯვა ქობულეთის რაიონის მოჭიდავეთა გუნდმა. მეორე ადგილზეა ბათუმის, ხოლო მესამეზე — ხულოს რაიონის კოლექტივი.

კლასიკურ ჭიდაობაში პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმის რაიონის გუნდი. მომდევნო ადგილები დაიკავეს ხულოსა და ქობულეთის რაიონის მოჭიდავეთა კოლექტივებმა.

• • •

დამთავრდა რაიონული პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელთა 9 კოლექტივი ღებულობდა მონაწილეობას.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ 3 კოლექტივს: ვ. ი. ლენინის სახ. ჩაქვის, ი. ბ. სტალინის სახელობის ოჩხამურისა და ს. მ. კიროვის სახელობის ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებს აღმოაჩნდათ ქულათა თანაბარი რაოდენობა — 8 ქულა თვითეულს.

მათ შორის დაინიშნა დამატებითი შეხვედრები. გამარჯვებული გამოვიდა და რაიონის ჩემპიონი გახდა ცეცხლაურის მეურნეობის კოლექტივი, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი.

ლ. ტრაპაიძე

მუსიკალური ფონდის საწარმოო სახელოსნოებში უყვართ სპორტი, კერძოდ კი ჭადრაკი.

* * *

სურათზე: სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეები შესვენების დროს.

ფოტო გ. თარალაშვილისა.



პარტიული ორგანიზაციის დახმარებით

აბაშის სასოფლო - სამეურ[ნეო] ტექნიკუმის ფიზკულტურელ[ები] აქტიურ მონაწილეობას ღებულ[ო]ბენ რაიონულ და რესპუბლიკ[ურ] სპორტულ შეჯიბრებებში. ფიზკუ[ლ]ტურის კოლექტივმა მარტო მი[მ]დინარე წელს 60 თანრიგო[ა]ნი სპორტსმენი მოამზადა. შეძენ[ილ] იქნა 500 მანეთის სპორტულ[ი] ინ[ვ]ენტარი და სხვ.

ფიზკულტურული კოლექტ[ივის] ნაყოფიერი მუშაობა მიღ[წეუ]ლია პირველადი პარტიულ[ი ორ]განიზაციის (მდივანი დ. ... რავა) აქტიური დახმარებით. [პარ]ტიულ კრებებსა და ბიუ[როს] სხდომებზე ხშირად იხილება [სა]კითხები ფიზკულტურული კოლექ[ტი]ვის მუშაობის შესახებ. კომუნის[]ტები მსჯელობენ, აყენებენ წინ[ა]დადებებს არსებულ ნაკლოვანებ[ებ]თა გამოსასწორებლად.

მიმდინარე წლის მაისში პარ[ტი]ული ორგანიზაციის კრებაზე გ[ა]ნ[ხი]ლულ იქნა საკითხი ძირეულ[ი კო]ლექტივის მუშაობის შესახებ. ... მელზეც მოხსენებით გამოვ[იდა] ძირეული ფიზკულტურული კოლე[]ქტივის „კოლმეურნეს" საბ[ჭოს] თავმჯდომარე ს. ჩოჩია. კრებ[ამ] აღნიშნა, რომ არადამაკმაყო[ფი]ლებლად მუშაობენ კალათბურ[თის] და მძლეოსნობის სექციები, ... ერთ კურსზე ნაკლები ყურა[დღე]ბა ექცევა ახალ[გაზრ]დების ფიზიკურ წ[ვრთ]ნას, არა საკმაო რა[ოდე]ნობითაა სპორტულ[ი ინ]ვენტარი და სხვ. პა[რტი]ულმა კრებამ მდგომ[არე]ობის გამოსასწორე[ბლად] დასახა საჭირო ღონ[ისძი]ება.

საკითხის განხილვა[მ პა]რტიულ კრებაზე კ[არგი] შედეგი მოიტანა. ს[აგ]ნობლად გაუმჯობ[ესდა] სპორტული წრეების [მუ]შაობა, გახშირდა ... ტული შეჯიბრებების [მო]წყობა, კეთილმოწყო[ბილი] გახდა სპორტული მ[ოედ]ნები, შეძენილი იქნა ... რტული ინვენტარი.

ი. თოფურ...

შედეგები არადამაკმაყოფილებელია

ტყვიით მსროლელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მესამე დღე „მცირეკალიბროსნებს“ დაეთმო. ცეცხლს ხაზზე გამოვიდნენ მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე მსროლელნი და მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) მსროლელნი, პირველ ვარჯიშს ასრულებდნენ სპორტკლუბ „გამარჯვების“ სპორტსმენები და ქალთა ტურნირის მონაწილენი, ხოლო მეორეს — რესპუბლიკის ნაკრების წევრები.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში მხოლოდ ორმა მონაწილემ აჩვენა პირველი თანრიგის და უკეთესი შედეგი. მათ შორის სპორტის ოსტატმა კ. პროზოროვმა მრგვალ სამიზნეებზე სროლით 300 შესაძლებლიდან 282 ქულა მოაგროვა. სილუეტებზე სროლის დროს აჩვენა 292 ქულა და 574 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მას თანაგუნდელი ხ. გაბოზოვი ჩამორჩა 4 ქულით. თუმცა ეს უკანასკნელი უკეთ გამოვიდა მრგვალ სამიზნეებზე სროლაში, სადაც ზუსტად 4 ქულით მოუგო პროზოროვს, მაგრამ შემდეგ, სილუეტებზე 8 ქულით წააგო და იძულებული გახდა მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

ქალთა შორის მრგვალ სამიზნეებზე სროლის შემდეგ დაწინაურდა ლ. გლაზუნოვა — 288 ქულა, მაგრამ სილუეტებზე სროლაში 4 ტყვია დააცილა სამიზნეს და მოაგროვა 252 ქულა. მისმა მოწინააღმდეგემ ა. ფოტეევამ აჩვენა 285 ქულა და ვარჯიშში 564 ქულით გაიმარჯვა ჩემპიონობა.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე სროლაში (3×20) უძლიერესი [illegible] სპორტის ოსტატი ო. ანანიკიანი — 558 ქულა. მეორეზე გამოვიდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის სპორტსმენი ვ. პანკოვი — 553 ქულა, მესამეზე თ. მეგრელიშვილი („დინამო“) — 549 ქულა. დგომელა სროლაში გაიმარჯვა ანანიკიანმა — 176 ქულა, ჩოქელა სროლაში — ვ. პანკოვმა — 190 ქულა, ხოლო წოლელა სროლაში ნ. ერმიშიანმა — 196 ქულა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გორელ და ოჩამჩირელ კალათბურთელთა გამარჯვება

გორი. (ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა საქართველოს 1961 წლის პირველობა კალათბურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის, შეჯიბრებაში მონაწილეობდა ვაჟთა 18 და ქალთა 9 კოლექტივი.

ვაჟთა შორის ქვეჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს წულუკიძის, გორის, რუსთავისა და ტყიბულის გუნდებმა. საინტერესოდ ჩატარდა მათი ფინალური შეხვედრები. რუსთავის ნაკრებმა 24 ქულის განსხვავებით (67:43) დაამარცხა ტყიბულის გუნდი. წულუკიძისა და გორის კალათბურთელთა შეხვედრაში უპირატესობა თავიდანვე გორელთა მხარეს იყო. პირველი ნახევარი მათ მოიგეს ანგარიშით 26:18. ინიციატივა მეორე ნახევარშიც ხელიდან არ გაუშვიათ გორელებს, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 51:44. ვაჟთა ტურნირში პირველ ადგილზე გამოვიდა გორის ნაკრები (მწვრთნელი ი. ქუმელაშვილი), მეორეზე — წულუკიძის, მესამეზე — რუსთავის, ხოლო მეოთხეზე — ტყიბულის გუნდები.

ქალთა შეჯიბრება დამთავრდა ოჩამჩირის გუნდის გამარჯვებით. აღსანიშნავია, რომ ოჩამჩირელთა სპორტულ ღირსებას ჩემპიონატში იცავდა არა რაიონის ნაკრები, არამედ ოჩამჩირის პირველი საშუალო სკოლის (ფიზიკურზრდის მასწავლებელი ა. მუნჩავა) გუნდი. მეორე ადგილი ტურნირში დაიკავეს წყალტუბოს კალათბურთელებმა.

პირველ ადგილზე გამოსული გუნდები დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკავშირის გარდამავალი თასით. მათ მოიპოვეს მომავალ წელს „ა“ კლასის ტურნირში თამაშის უფლება.

ი. თევდორაძე

* * *



სურათებზე: ოჩამჩირის ქალთა (ზევით) და გორის ვაჟთა გუნდები. ქვევით — რუსთავისა და წულუკიძის კალათბურთელთა შეხვედრა.

ფოტო ა. ადამოვისა.

ფრე ერევანში

ერევანი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). თბილისის დინამოელები აქ თავის მორიგ მატჩში საბჭოთა კავშირის პირველობაზე და პირველ მატჩში შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე შეხვდნენ ერევნის „სპარტაკს“.

თამაშის დასაწყისი აღინიშნა მასპინძელთა მძაფრი იერიშებით. მაგრამ დაახლოებით მე-5 წუთიდან თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონებიც გახდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. მე-7 წუთზე კალოვის დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ბარქაიასთან და მან ზუსტად გამოიყენა საგოლო მომენტი — 1:0. დანარჩენი დროც, პირველი ტაიმის დასასრულამდე, ჩვენი ფეხბურთელების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ჯერ მესხის ძლიერი დარტყმა მოხვდა ძელს, ხოლო მერე 30-ე წუთზე კვლავ ძელმა დააბრუნა უკან ბურთი კალოევის თავურის შემდეგ.

მეორე ნახევარი კვლავ მასპინძლების იერიშებით დაიწყო და თბილისელებმა თანდათანობით დათმეს ინიციატივა. მართალია, ათი წუთის შემდეგ თამაში მცირე ხნით გათანაბრდა, და სწორედ აქ ახლა უკვე იამანიძემ ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის აშკარა შესაძლებლობა, მაგრამ მაინც ტაიმი ერევნელი ფეხბურთელების უპირატესობით ჩატარდა.

თამაშის დამთავრებას აკლდა ექვსნახევარი წუთი, რომ ჩვენმა მცველებმა კვლავ არაზუსტად ითამაშეს: ბურთი მთგან გოლის უშუალო სიახლოვეს დაეშვა, მას მიუსწრეს „სპარტაკის“ თავდამსხმელებმა და მხოლოდ ოდნავ შეუცვალეს მიმართულება. 1:1 — ეს ანგარიში აღარ შეცვლილა თამაშის ბოლომდე.

ნახევარფინალები

ვინ იქნება მეორე ფინალისტი?

გათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი დასასრულს უახლოვდება, გურგენიძეს თითქმის უზრუნველყოფილი აქვს პირველი ადგილი. მისი შანსები კიდევ უფრო განამტკიცა გადადებული პარტიების დამთავრებამ — თამაშის განუახლებლად პრესმა პარტია დათმო და ამით გურგენიძეს (XV ტურის შემდეგ) 12,5 ქულა გაუხდა.

ფინალში მეორე „საგზურის“ მაძიებელნი არიან ბაგიროვი, გიპსლისი, ნეი და კლოვანი. გიპსლისს შეწყვეტილ პოზიციაში ზახარიანთან მცირე პოზიციური უპირატესობა ჰქონდა. ლატვიის ჩემპიონმა უდიდესი მონდომება და შეუპოვრობა გამოავლინა გამარჯვების მიღწევისათვის. ბოლოს ზახარიანის წინააღმდეგობა ძლეულ იქნა. გიპსლისს დაუგროვდა 11,5 ქულა, რითაც გაუსწრო ნეისა და ბაგიროვს (11 ქულა თვითეულს). კლოვანმა დაამარცხა ლომაია და 9,5 ქულით (ერთი გამოტოვებული და ერთიც გადადებული პარტია) იმედით შეჰყურებს მომავალს.

ვინ იქნება მეორე ფინალისტი? ეს საკითხი ღიად რჩება. ამაზე პასუხს გასცემს XVI და XVII ტურები.

პირველი ნახევარი განვლილია

ირკუტსკი. (ჩვენი სპეც. კორ.). XXII საჭადრაკო ჩემპიონატის ირკუტსკის ნახევარფინალზე განვლილია პირველი ნახევარი. გათამაშდა VIII ტური. ტურნირს კვლავ ლიდერობენ მოსკოველი მოჭადრაკეები: კაცკოვა, პოსტნიკოვა, ბელავენეცი და რიგელი ნახიმოვსკაია — 5,5 ქულა თვითეულს. გორინას 5 ქულა აქვს. აღსანიშნავია, რომ მოსკოველმა ოსტატმა კუშნირმა ფილანოვსკაიასთან დამარცხების შემდეგ მხოლოდ ორ ყაიმს მიაღწია და ჩამორჩა ლიდერებს.

თბილისელმა გოგიავამ დაამარცხა ყარაგანდელი ნიკშეევა. შემდეგ ავადმყოფობდა და ორი პარტია გამოტოვა. VIII ტურის შემდეგ მას 3,5 ქულა და ორი გამოტოვებული პარტია აქვს.

მ. ტოგონიძე უმატებს ტემპს

იალტა. (ჩვენი სპეც. კორ.). მრავალრიცხოვანი მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ესწრება ნახევარფინალის ფინიშს, რომელმაც უნდა გამოავლინოს სამი ფინალისტი. მიუხედავად იმისა, რომ ტოგონიძე საკმაოდ წინაა თავის კონკურენტებზე, იგი მაინც არ ცხრება. IX ტურში მან არც თბილისელი მანველოვა „დაინდო“, ლიაპუნოვამ და სტრანდსტრემმა პარტიები ყაიმით დაამთავრეს. პირველმა ჩერეპანოვასთან, ხოლო მეორემ — ავანესოვასთან. მოულოდნელი იყო რუბცოვას დამარცხება ტიმოფეევასთან. შადურამ მოუგო მიხაილოვას.

IX ტურის შემდეგ ტოგონიძეს 8 ქულა აქვს, ლიაპუნოვასა და სტრანდსტრემს — 6 ქულა თვითეულს, იაკირს — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, შადურას — 5,5 ქულა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აგვისტოსათვის

I-X ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	21	16	1	4	51:24	33
ცსკა	21	14	3	4	56:28	31
„დინამო“ (კიევი)	21	13	5	3	42:19	31
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	21	11	5	5	42:24	27
„დინამო“ (თბილისი)	21	10	6	5	37:23	26
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	20	9	8	3	35:23	26
„პვანგარდი“ (ხარკოვი)	21	10	6	5	22:16	26
„სპარტაკი“ (ერევანი)	21	8	8	5	28:27	24
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	20	9	5	6	30:33	23
ს კ ა (როსტოვი)	21	9	4	8	39:23	22

* * *

29 აგვისტოს შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „სპარტაკი“ და „ტორპედო“.

მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 4:3.

კიევის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო როსტოვის არმიელთა გუნდი.

მატჩის შედეგია 1:0 კიეველთა სასარგებლოდ.

დახმარეგისა და ხელის შეწყობისათვის

რესპუბლიკური სპორტკავშირის სიგელებით დაჯილდოვდნენ

ვ. ქლიბაძე — ზესტაფონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის დირექტორი, ვ. წიკლაური — თიანეთის რაიონის სოფ. ზარიძეების სკოლის დირექტორი, შ. ჭინჭარაული — თიანეთის რაიონის სოფ. სიონის სკოლის დირექტორი, კ. ლოჩოშვილი — აბაშის . მე-2 სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებელი, დ. საბაშვილი — პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი, ე. შევარდნაძე — ლანჩხუთის ფეხბურთის სექციის თავმჯდომარე, ს. ჟორდანია — ლანჩხუთის მწვრთნელი ფეხბურთში, ვ. ტუნტულაშვილი — დუშეთის რაიონის სოფ. ანანურის სკოლის დირექტორი, დ. ქავთარაძე — დუშეთის რაიონის სოფ. ანანურის სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებელი, ი. თედეშვილი — ახმეტის რაიონის სოფ. არგოხის კოლმეურნეობა-ს. თავმჯდომარე, ნ. ჯიჯურიძე — ახმეტის რაიონის სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებელი, ბ. უშხვანი — მესტიის რაიონის სოფ. ბეჩოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ა. მურადოვი — სახელმწიფო ცირკის კონტროლიორი, ვ. ცინცაძე — „ლოკომოტივის“ ფეხბურთის მწვრთნელი, ს. ზურაბოვი — ფიზ. აღზრდის მასწავლებელი (ოქტომბრის რაიონი), ი. ბათიაშვილი — ფიზიკურზრდის მასწავლებელი (სტალინის რაიონი), ი. ნაცვლიშვილი — „კოლმეურნის“ უფროსი ინსტრუქტორი, დ. ჩხიკვაძე — ჩოხატაურის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 125, 127, 130.

საქართველო-შვეიცია

გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდაველებმა გაართეს საერთაშორისო ამხანაგური მატჩი შვეიცის ნაკრებ გუნდთან. შეხვედრის ანგარიში: 7,5:0.5 ქართველ მოჭიდაველთა სასარგებლოდ.

მატჩის დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 132 (1768)

ბეარა იუგოსლაველთა წინააღმდეგ

იუგოსლავიის ნაკრების ცნობილი მეკარე ბეარა წლების განმავლობაში ითვლებოდა ერთ-ერთ უძლიერესად კონტინენტზე. იგი მონაწილეობდა მსოფლიოს ორ ჩემპიონატში (1954 და 1958 წლებში), იცავდა ე. წ. „დანარჩენი ევროპის“ ნაკრების კარს ინგლისელთა წინააღმდეგ. ამ იშვიათი რეაქციის მეკარეს ფეხბურთის წრეებში „კატა“ შეარქვეს.

ხანში შესვლასთან დაკავშირებით ბეარა უწინდელი „კატა“ აღარ გახლავთ. იგი კარგა ხანია გამოიყვანეს ეროვნული ნაკრებიდან და ცხადია, ჩილეში მის გამგზავრებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. იუგოსლავიის ფეხბურთელთა კავშირმა მას უცხოეთის კლუბში გადასვლის ნება მისცა და ბეარამ გფრ-ს პირველი ლიგის ერთ-ერთი კლუბი „ალემანია“ (აახენი) აირჩია.

ამ დღეებში ბეარამ იუგოსლაველებს დაუმტკიცა, რომ იგი ნაადრევად იქნა „ჩამოწურილი“. „ალემანია“ თავის მინდორზე ეთამაშებოდა იუგოსლავიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „ჰაიდუკს“ (სპლიტი), რომლის რეპუტაცია აახენელ ფეხბურთელებთან შედარებით ბევრად უფრო მაღალია. და მაინც „ალემანიამ“ მიაღწია ფრეს—(1:1). ამაში „დამნაშავე“ იყო ბეარა, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა. კერძოდ, მან აიღო „ჰაიდუკის“ განთქმული ცენტრფორვარდის ვუკასის მიერ დარტყმული ორი „მკვდარი“ ბურთი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იუგოსლავიის ნაკრებში ერთად თამაშის გარდა ბეარა და ვუკასი ოდესღაც ე. წ. „დანარჩენი ევროპის“ ნაკრებშიც ერთად თამაშობდნენ ინგლისელთა წინააღმდეგ.

რედაქციაში შემოვიდა წერილი, სადაც თბილისის ტრანსპორტის მუშაკი ამბ. თ. კორძაძე გვეკითხება: იმ შემთხვევაში, როცა ფეხბურთის ნატჩში დანიშნულია 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, შეუძლია თუ არა დარტყმის შემსრულებელს მიაწოდოს ბურთი პარტნიორს და ამგვარად მოახდინოს პენალტის რეალიზაცია?

შეუძლია. ეს ზოგჯერ ხდება კიდეც ფეხბურთის პრაქტიკაში: დამრტყმელი წინ და გვერდით უგორებს ბურთს პარტნიორს და ამ უკანასკნელს გააქვს გოლი. წესის დარღვევა აქ არაა.

• • •

ფეხბურთის მოყვარულები გ. კენჭიაშვილი, ა. ჭაჭაია და ჰ. დანდუროვი გვთხოვენ განვუმარტოთ მათ რამდენიმე პუნქტი ფეხბურთის წესებიდან. აი მათი შეკითხვები:

1. მოთამაშემ ძლიერად დაარტყა კარში. ბურთმა რამდენიმე მანძილით გადაკვეთა ჰაერში კარის ხაზი. მცველმა ან მეკარემ სწრაფ ნახტომში გამოიტანეს იგი გარეთ. ითვლება თუ არა ასეთი ბურთი გოლად?

2. აუტის მოწოდებისას ბურთი გავიდა კარში ისე, რომ არ შეეხო არავის, ან მოხვდა მსაჯს და ისე შევიდა კარში. გოლია ეს თუ არა?

3. მოთამაშემ წინ მიაწოდა ბურთი. ბურთმა ჰაერში გადაკვეთა გვერდითი ხაზი, მაგრამ მოუხვია და დაეცა მინდორზე. აუტია თუ არა?

4. თამაშის მსვლელობისას მეკარე ან მცველი ფეხებით აღმოჩნდა კარის ხაზს უკან. მან მოიგერია კარში დარტყმული ბურთი, რომელსაც არ ჰქონდა გადაკვეთილი ხაზი. გოლია ეს თუ არა?

5. ძლიერი დარტყმის შედეგად ბურთი მოხვდა ძელს შიდა მხრიდან, გააკეთა წრე, მოხვდა მეორე ძელს და გამოვარდა კვლავ გარეთ. გოლია თუ არა?

1. ბურთი ითვლება კარში გატანილად, თუ იგი **მთლიანად** გადაკვეთს კარის ხაზს. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მეკარე ან მცველი სწრაფი ნახტომით გამოიტანს მას გარეთ, თუ ნელი ნახტომით. ცნება „რამდენიმე მანძილი“ ფეხბურთში არ არსებობს. ვიმეორებთ, ბურთმა **მთლიანად** უნდა გადაკვეთოს კარის ხაზი. თუ ეს მოხდა — გოლია.

2. გვერდითი ბურთის თამაშში შეყვანისას თუ ბურთი უშუალოდ გავიდა კარში, ეს გოლი არაა. თუ ბურთი მოხვდა მსაჯს და გავიდა კარში, ეს უკვე გოლია.

3. ფეხბურთის წესების თანახმად ბურთი თამაშიდან გასულად ითვლება მაშინ, თუ იგი მინდვრის შემომფარგლავ ხაზებს **მთლიანად** გასცდება მიწაზე ან ჰაერში. ე. ი. თქვენს მიერ აღნიშნული შემთხვევა აუტია.

4. როგორც ზევით მოგახსენეთ, გოლი ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ბურთი **მთლიანად** გადაკვეთს კარის ხაზს. თქვენს მიერ აღწერილ შემთხვევაში კარში გავიდა არა ბურთი, არამედ მოთამაშე. როგორ შეიძლება ჩაითვალოს გოლი მოთამაშის კარში ყოფნის გამო?!

ანალოგიურ შინაარსს მოიცავს შემდეგი შეკითხვაც. აქაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთადერთი პრინციპით: გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი **მთლიანად**.

რაც შეეხება თქვენს მეექვსე შეკითხვას, მის შინაარსში ჩვენ ვერ გავერკვეთ. აქ ლაპარაკია „თამაშგარე“ მდგომარეობაზე: თუ მცველი შემთხვევით (ან წინასწარი განზრახვით) აღმოჩნდა აუტში, ან კარის ხაზის უკან, არის თუ არა „თამაშგარე“? თამაშის წესებით თავდამსხმელს მისი გუნდის სხვა მოთამაშის მიერ ბურთის დარტყმის მომენტში წინ უნდა ჰყავდეს მოპირდაპირე გუნდის სულ ცოტა ორი მოთამაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „თამაშგარე“ მდგომარეობაში ითვლება.



სურათზე: თბილისის რკინიგზის 1-ლი სახელოსნო სასწავლებლის სპორტდარბაზი.

ფოტო ვ. გოგაძისა.

ნეკროლოგი
ბ. ნ. მელაძე

გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ბორის ნიკოლოზის-ძე მელაძე. იგი დაიბადა 1916 წელს. 1936 წელს დაამთავრა თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა, 1940 წელს — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო 1947 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

ამბ. ბ. ნ. მელაძე 1939 წლიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის უფროს მასწავლებლად. თავისი კეთილსინდისიერი და უმწიკლო მუშაობით მან დაიმსახურა პედაგოგთა და სტუდენტთა სიყვარული. იგი კრიზის სამამოთა კავშირის საგზის პრიზიორი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იყო. მან უშუალო ხელმძღვანელობით აღზარდა საქართველოს მოკრივეთა მთელი პლეადა.

გულისხმიერი მეგობრისა და აღმზრდელის, ბორის ნიკოლოზის-ძე მელაძის ხსოვნა მარად დარჩება ბევრი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ავსტრალიელთა ჰეგემონიას ბოლო მოეღო

სულ ახლახან მთელს მსოფლიოს მოედო სენსაციური ცნობა ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარების შესახებ. ამერიკელმა ს. კლარკმა აჩვენა ფენომენალური დრო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 54,4 და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი, რომელიც აქამდე ავსტრალიელ დევიტს ეკუთვნოდა,

რომის ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე დრამატული გამოდგა თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვის ფინალი. სპეციალისტები ოქროს მედალს უწინასწარმეტყველებდნენ ამერიკელ ლარსონს. ზოგიერთის სიმპათია ამ დისტანციაზე ავსტრალიელი დევიტის მხარეზე იყო, თუმცა მის გამარჯვებას მაინც ეჭვობდნენ, ვინაიდან ავსტრალიელმა თავისი ქვეყნის პირველობაზე წინ გაუშვა მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჰენრიკსი და ახალგაზრდა შიპტონი, მაგრამ იგი მაინც შეიყვანეს ოლიმპიურ გუნდში შიპტონის ნაცვლად.

როცა ფინალის დისტანციის სამი მეოთხედის გავლის შემდეგ წინ გაიჭრა ლარსონი, ყველას მზერა მხოლოდ მისკენ იყო მიმართული. ფოტორეპორტიორები ერთმანეთის ხელის კვრით, თავზე გადახტომით ცდილობდნენ ფირზე აღებეჭდათ ახალი ოლიმპიური ჩემპიონი. მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. დევიტმა უკანასკნელ მეტრებზე თავბრუდამხვევი ტემპი განავითარა, დაეწია ამერიკელს და ორივე ერთდროულად მივიდა ფინიშთან.

ვინ იყო პირველი? ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ გაიმარჯვა მათმა თანამემამულემ, ხოლო ავსტრალიელები, რასაკვირველია, პირიქით ფიქრობდნენ. ასევე 2 ბანაკად გაიყო მაყურებელიც. საქმეში მსაჯთა კოლეგია ჩაერია. მან გამარჯვებულად ცნო ავსტრალიელი, რასაც ამერიკელთა პროტესტი მოჰყვა. იგი უარყო ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა დევიტი, რომლის მიერ ნაჩვენები დრო — 55,2 ოლიმპიურ რეკორდად იქნა აღიარებული. რომში ამერიკელებმა ცურვის 15 სახეობიდან 9 პირველი ადგილი მოიპოვეს, რომელთაგან 5 შედეგი მსოფლიო რეკორდს აღემატებოდა. ეს იყო ამერიკელთა რევანში მელბურნში ავსტრალიელებთან დამარცხებისათვის. რომის შემდეგ ამერიკელმა მოცურაველებმა კვლავ აალაპარაკეს მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა. ჯერ იყო და ისინი სტუმრად იყვნენ იაპონიაში, სადაც აღგილობრივ უძლიერეს მოცურაველებთან მატჩში დაამყარეს რამდენიმე მსოფლიო რეკორდი.

მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ლოს-ანჟელოსში ახლახან ჩატარებულმა აშშ-ს ჩემპიონატმა, სადაც კონკურსგარეშე მონაწილეობდა ცნობილი იაპონელი სპორტსმენი, რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი (თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში) იამანაკა. სტუმარი თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში პირველ ადგილს შეეცილა რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს თავისუფალი სტილით 400 მ ცურვაში, როუზს. უკანასკნელ მეტრებზე იაპონელი მძლავრი ბიძგით წინ გაიჭრა და ფინიშთან პირველი მივიდა. წამმზომებმა აჩვენეს დრო — 2.00,4, რაც იმას ნიშნავდა, რომ იამანაკამ გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი. მეორე ადგილზე გამოსული როუზის დრო — 2.00,9 იაპონელის ძველ მსოფლიო რეკორდზე უკეთესი იყო.

კვლავ წარმატებით გამოვიდა ინდიანის უნივერსიტეტის სტუდენტი იასტრემსკი, რომელმაც ამას წინათ 2 დისტანციაზე (ბრასის სტილით 100 და 200 მ) გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები. ამ შეჯიბრებაზე მან კვლავ თავი ისახელა, როცა თავისსავე მსოფლიო რეკორდს (ბრასის სტილით 200 მ) 4 წამი „ჩამოაჭრა“ — 2.29,6. სულ ცოტა ხნის განმავლობაში ამერიკელმა ორჯერ გადააჭარბა ავსტრალიელ გეიტერკოულის მსოფლიო რეკორდს. კიდევ სამი მსოფლიო რეკორდი დაეცა ამ შეჯიბრებაზე. ჯერ რომის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელმა 100 მეტრზე ზურგით ცურვაში ბენეტმა აჩვენა 1.01,3 და გააუმჯობესა ავსტრალიელი მონშტონის მსოფლიო რეკორდი. ამ შეჯიბრებაზე ახალგაზრდა ამერიკელმა მოცურაველებმა თავიანთი უფროსი კოლეგებიც კი არ დაინდეს. 16 წლის რობინ გააუმჯობესა რომის ოლიმპიადის ჩემპიონის ტროის მსოფლიო რეკორდი, ბატერფლაით 200 მეტრზე ცურვაში მან აჩვენა 2.12,6. ოლიმპიური ჩემპიონი ფინიშთან მხოლოდ მეხუთე იყო. ახალგაზრდა თითქმის უცნობმა შმიდტმა მსოფლიო რეკორდი (ბატერფლაის სტილით 100 მ) ხელიდან „გამოგლიჯა“ ლარსონს. ცურვის ამ სახეობაში ახალი რეკორდი უდრის 58,6 წუთს.

ასე რომ, ცურვაში ავსტრალიელთა ჰეგემონიას ბოლო ეღება. მსოფლიოს უძლიერეს მოცურავეთა შტურმი მსოფლიო რეკორდებზე გრძელდება და მოსალოდნელია, რომ წლის ბოლომდე ეს შედეგებიც გაუმჯობესდება და ახლანდელი რეკორდსმენები ექს-რეკორდსმენებად გადაიქცევიან.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა, რომ სახელგანთქმულმა ამერიკელმა მოცურავემ სტუდენტმა ჩ. იასტრემსკიმ 7 დღის განმავლობაში ოთხი შესწორება შეიტანა მსოფლიო რეკორდების ცხრილში. მის შემდეგ, რაც მან ხელთ იგდო რეკორდები 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში, 23 და 24 აგვისტოს იერიში მიიტანა ავსტრალიელი ტ. გეიტერკოულის მსოფლიო რეკორდზე 110 და 220 იარდზე ცურვაში და ორივე შემთხვევაში შეძლო ამოცანის წარმატებით განხორციელება. პირველ დღეს 220 იარდი გაცურა 2.34.1 წამში და 2,4 წამით გააუმჯობესა ძველი მსოფლიო რეკორდი. მეორე დღეს 110 იარდზე ცურვაში აჩვენა 1.09,6 წ. ესეც ახალი მსოფლიო რეკორდია.



დღეს!

საერთაშორისო შეხვედრა
საქართველო — აშშ

ხვალ!



სსრ კავშირის პირველობა
„დინამო“ (თბილისი) — ცსკა
შეხვედრების დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

30 – 31 აგვისტო

„დინამოს“ კორტები
(ი. ბ. სტალინის სახელობის სანაპირო)
საერთაშორისო შეხვედრები



საქართველო-უნგრეთი
საქართველო-ავსტრალია
დასაწყისი 16 ს. 30 წ.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხუთშაბათობით, ოთხშაბათობით, პუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლენინი“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89 62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01123